1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (240) 13 მარტი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

122. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობისა.

#### განყოფილება მეორე

123. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ვ. ვ. ლავრენტიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
124. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ბ. კაცუბას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
125. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ი. ოპარინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
126. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ე. ნ. პავლოვსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

### ნაწილი II

#### განყოფილება პირველი

127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.
128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ.

130. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

131. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესახებ.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. გ. მწითურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 122 სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 თებერვალი.

№ 2266-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობისა

### I. საერთო დებულებანი

1. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისი ხელქვეითი პროკურორები ახორციელებენ კანონების ზუსტი შესრულების ზედამხედველობას და ამოცანად ისახავენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით მინიჭებული ინტერესების დაცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ამ საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა შეგნებული დისციპლინა.

2. საბჭოთა პროკურორები და გამომძიებლები უნდა იყვნენ მაღალი კომუნისტური შეგნებულობის, პრინციპულობის, შრომისმოყვარეობის ნიმუში, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ნორმების დაცვის მაგალითი. ისინი ვალდებული არიან თავიანთ საქმიანობაში ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულებით, ღრმად იცოდნენ მინდობილი საქმე, აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე და საქმიანი კვალიფიკაცია, თავიანთ მუშაობაში სულ მუდამ ეყრდნობოდნენ ფართო საზოგადოებრიობას, აქტიურად უწყობდნენ ხელს კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასა და აღზრდას.

პროკურატურის მუშაკების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის პატიოსნად და კეთილსინდისიერად შესრულება, მათი უმწიკვლო საქციელი წარმოადგენს პროკურატურის ორგანოების წარმატებით საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პირობას. სოციალისტური კანონიერების, სამსახურებრივი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა, პროკურორებისა და გამომძიებლების ამორალური საქციელი ძირს უთხრის საბჭოთა პროკურატურის ავტორიტეტს, ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს.

3. დებულება სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისების ღონისძიებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობისა აწესებს წახალისების წესს სამსახურში დამსახურებისათვის და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესს სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისა და ჩირქისმომცხებ საქციელისათვის.

4. ეს დებულება ვრცელდება სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების ყველა პროკურორსა და გამომძიებელზე, გარდა სამხედრო პროკურორებისა

და გამომძიებლებისა, რომელთა წახალისება და დისციპლინური პასუხისგება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა დისციპლინური წესდების მიხედვით ხდება. სამხედრო პროკურორებისა და გამომძიებლების წახალისებისა და დასჯის უფლება აქვთ მხოლოდ ზემდგომ სამხედრო პროკურორებს, მთავარ სამხედრო პროკურორს და სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

## II. წახალისება და დაჯილდოება

5. პროკურორებისა და გამომძიებლების წახალისება და დაჯილდოება ხდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითოდ შესრულებისათვის, ისეთი ინიციატივისა, ოპერატიულობისა და სხვა სამსახურებრივი დამსახურებისათვის, რამაც ხელი შეუწყო საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებას, დანაშაულთა გახსნასა და თავიდან აცილებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

6. პროკურორებისა და გამომძიებლების წახალისება ხდება სახელმწიფო-კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომის შინაგანაწესის 20 მუხლის შესაბამისად.

სამსახურში თავის გამოჩენისათვის პროკურორებსა და გამომძიებლებს შეიძლება მოემატოთ საკლასო ხარისხი, ისინი შეიძლება აგრეთვე წარდგენილ იქნენ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად პროკურორები და გამომძიებლები შეიძლება წარდგენილ იქნენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ან უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით და სიგელებით დასაჯილდოებლად.

7. წახალისების ზომების გამოყენება ან დასაჯილდოებლად წარდგენა ხდება შემდეგი წესით:

ა) მადლობას უცხადებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პროკურორები;

ბ) ფულადი პრემიით წახალისება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების მიერ;

გ) საკლასო ხარისხის მომატება ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების მუშაკთა საკლასო ხარისხების დებულების შესაბამისად;

დ) სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სიგელით დასაჯილდოებლად წარდგენა ხდება პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

ე) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სიგელით დასაჯილდოებლად წარდგენა ხდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მიერ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასაშვებია ერთდროულად წახალისების რამდენიმე ზომის გამოყენება.

9. იმ შემთხვევაში, როცა დამსახურების მქონე მუშაკის მიმართ გამოსაყენებელია წახალისების ისეთი ზომა, რომელიც სცილდება პროკურატურის ხელმძღვანელის უფლებებს, ამ უკანასკნელს სათანადო წარდგინება შეაქვს ზემდგომ პროკურორთან.

10. წახალისება უნდა გამოცხადდეს ბრძანებით და შეტანილ იქნეს მუშაკის შრომის წიგნაკსა და პირად საქმეში.

ბრძანება წახალისების შესახებ უნდა გააცნონ სათანადო პროკურატურის ყველა მუშაკს.

## III. დისციპლინური სასჯელი

11. პროკურორსა და გამომძიებელს დისციპლინური სასჯელი დაედება:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის;

ბ) ჩირქისმომცხებ საქციელისათვის.

12. დისციპლინური სასჯელის დადება, როგორც წესი, ხდება მაშინ, როცა ამოწურულია ან დანაშაულის სიმძიმესთან დაკავშირებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღზრდის სხვა ზომები, პირველ რიგში, დამნაშავე პირზე კოლექტივის ამხანაგური ზეგავლენის, აგრეთვე ხელმძღვანელის მხრივ მითითებები და შთაგონების საშუალებები. დისციპლინური სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიდიდეს ან ჩადენილი საქციელის სიმძიმეს.

13. დისციპლინური სასჯელის ზომებია:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) საკლასო ხარისხის ჩამოქვეითება;

ე) თანამდებობის ჩამოქვეითება;

ვ) სამუშაოდან დათხოვნა;

ზ) პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნა საკლასო ხარისხის ჩამორთმევით.

14. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი მთლიანად იყენებს ამ დებულებით გათვალისწინებულ დისციპლინურ უფლებებს, მაგრამ ვერ ჩამოართმევს და ვერ ჩამოუქვეითებს ხარისხს იმ პირს, რომელსაც საკლასო ხარისხი მიანიჭა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეებსა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს შეუძლიათ დაადონ ყველა დისციპლინური სასჯელი, მაგრამ ვერ ჩამოართმევენ ხარისხს, ვერ ჩამოუქვეითებენ საკლასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხს, ვერ დაუქვეითებენ თანამდებობას და ვერ დაითხოვენ სამუშაოდან იმ პირს, რომელიც დანიშნა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პროკურორებს შეუძლიათ დაადონ დისციპლინური სასჯელი თავის ხელქვეით პროკურორებსა და გამომძიებლებს შენიშვნის, საყვედურის, სასტიკი საყვედურის, თანამდებობის ჩამოქვეითებისა და იმ პირთა სამუშაოდან დათხოვნის სახით, რომლებიც მათს ნომენკლატურაში შედიან.

ოკრუგების, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს შეუძლიათ მოხსენებით მიმართონ ზემდგომ პროკურორს თავიანთი ხელქვეითი მუშაკებისათვის დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ.

15. პროკურორი, რომელმაც უნდა გადაჭრას დისციპლინური სასჯელის დადების საკითხი,ვალდებულია პირადად გაერკვეს ჩადენილ დანაშაულში და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება დანაშაულის ჩამდენი პირისაგან. თუ საჭირო იქნა, შეიძლება დაინიშნოს სამსახურებრივი შემოწმება.

16. თუკი დანაშაულის სიდიდის გამო საჭიროა გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც აღემატება ამა თუ იმ პროკურორის უფლებათა მოცულობას, იგი სათანადო მოხსენებით მიმართავს ზემდგომ პროკურორს.

17. ერთი და იმავე დანაშაულისათვის შეიძლება მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელის დადება.

18. დისციპლინური სასჯელის დადება ხდება უშუალოდ დანაშაულის აღმოჩენისთანავე. სამსახურებრივი შემოწმების დანიშვნის შემთხვევაში, სასჯელი შეიძლება დაედოს მოგვიანებითაც, მაგრამ სულ ბევრი ერთ თვეში დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენის დღიდან.

19. სასჯელის გამოცხადება ხდება ბრძანებით, რომელიც უნდა აცნობონ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ პირს ხელწერილით და დაურთონ მის პირად საქმეს. ბრძანება დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ უნდა გამოუცხადონ სათანადო პროკურატურის ყველა მუშაკს.

20. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გააუქმოს, გააძლიეროს ან შეამსუბუქოს სასჯელი, რისთვისაც მან უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ბრძანებაში.

21. თუკი 13 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ პუნქტებში გათვალისწინებული ზომებით დასჯილი პროკურორი ან გამომძიებელი ერთი წლის მანძილზე აღარ მიიღებს ახალ დისციპლინურ სასჯელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მას დისციპლინური სასჯელი არა ჰქონია. მაგრამ მანამდელ საკლასო ხარისხში ან თანამდებობაზე მისი აღდგენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ატესტაციის წესით.

დისციპლინური სასჯელის მოხსნა შეუძლია იმ პროკურორს, რომელმაც იგი დაადო ან ზემდგომ პროკურორს ერთ წელზე ადრეც, თუკი ეს მუშაკი არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და გამოიჩენს დისციპლინას და კეთილსინდისიერებას სამსახურებრივ მოვალეობათა აღსრულების დროს. ამ შემთხვევაში სასჯელის მოხსნა ხდება შესაბამისი ბრძანებით, რომელიც უნდა აცნობონ ყველას, ვისაც გამოუცხადეს ბრძანება სასჯელის დადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. პროკურორი, რომელიც გადააჭარბებს მისთვის მინიჭებულ დისციპლინურ უფლებებს ან საჭიროების შემთხვევაში არ გამოიყენებს მათ, პასუხს აგებს ამისთვის.

23. პროკურორს ან გამომძიებელს, რომელსაც დაედო დისციპლინური სასჯელი, შეუძლია მისი გასაჩივრება.

საჩივარი მან უნდა შეიტანოს ზემდგომ პროკურორთან დაქვემდებარების მიხედვით სასჯელის გამოცხადების დღიდან ორი კვირის ვადაში.

24. ზემდგომი პროკურორი გადაწყვეტილებას საჩივრის შესახებ მიიღებს მისი შემოსვლიდან ათი დღის ვადაში.

თუკი საჩივრის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი შემოწმება, მაშინ გადაწყვეტილება საჩივრის გამო შეიძლება მიღებულ იქნეს სულ ბევრი ერთ თვეში მისი შემოსვლის დღიდან.

მიღებული გადაწყვეტილება უნდა აცნობონ იმ პროკურორს ან გამომძიებელს, რომელმაც აღძრა საჩივარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 123 მწერალ ვ. ვ. ლავრენტიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ვიქტორ ვლადიმერის ძე **ლავრენტიევი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 თებერვალი.
№ 2273-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 124 ამხ. პ. ბ. კაცუბას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ირკუტსკის სამრეწველო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. პავლე ბორისის ძე **კაცუბა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 თებერვალი.
№ 2274-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 125 აკადემიკოს ა. ი. ოპარინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებასა და კვების მრეწველობის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ივანეს ძე **ოპარინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 მარტი.
№ 2277-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 126 აკადემიკოს ე. ნ. პავლოვსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვისა და ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით აკადემიკოს ევგენი ნიკანორის ძე პავლოვსკის მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 მარტი.
№ 2279-VI.

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 127 საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ

1. ყველა ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტი, რომელსაც გააჩნია მასზე მიმაგრებული ტერიტორია და მუდმივი მოსახლეობა, უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და მიეკუთვნოს სახელწოდება.

დასახლებული პუნქტები, რომელთაც დროებითი მნიშვნელობა აქვთ და არა ჰყავთ მუდმივი მოსახლეობა (სატყეო კორდონები, საველე ბანაკები და სხვ.) ან მეურნეობის რომელიმე დარგის სისტემაში დამხმარე მნიშვნელობა აქვთ (რკინიგზის ჯიხურები, ტივტივების დარაჯების სახლები და სხვა დასახლება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტის მომსახურებასთან ან გზების, მეტეოსადგურისა და სხვათა დაცვასთან), რეგისტრაციაში არ გატარდებიან.

2. ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციას და მათთვის სახელწოდების მიკუთვნებას აწარმოებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით.

შუამდგომლობაში ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციისა და მათთვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ აღნიშნულ უნდა იქნას: ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა (მანძილი სასოფლო საბჭოს, რაიონის ცენტრამდე, რკინიგზის უახლოეს სადგურამდე, ფოსტის განყოფილებამდე); მისი წარმოშობის მიზეზები; როდის და ვის მიერ არის გამოყოფილი ადგილი დასახლებული პუნქტისათვის და როდის და ვის მიერ არის დამტკიცებული მისი გაშენების გეგმა ტერიტორიის ჩვენებით; მოსახლეობის რაოდენობა და მისი შემადგენლობა ყველაზე უფრო გავრცელებული საქმიანობის სახის მიხედვით; მოსახლეობის რომელი ეროვნება ჭარბობს; წინადადება დასახლებული პუნქტისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ და ამ სახელწოდების დასაბუთება.

3. ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებები უნდა დადგინდეს გეოგრაფიულ, ისტორიულ, ადგილობრივ, ბუნებრივ და სხვა პირობებზე დაყრდნობით და მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით. ამასთან დასახლებული პუნქტებისათვის რაიონებში უკვე არსებული სახელწოდებების მიკუთვნება დაუშვებელია.

ახლად წარმოშობილი დასახლებული პუნქტებისათვის სახელმწიფო, საზოგადო, პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების სახელების მიკუთვნება წარმოებს „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქ-

მის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით.

4. რაიონების, ქალაქების, დაბების, სოფლების, მუშათა, საკურორტო დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სახელწოდების შეცვლას აწარმოებს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით და ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარდგენით.

5. დასახლებული პუნქტების აღრიცხვას თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის და ქალაქის საზღვრებში აწარმოებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ცალკეული დასახლებული პუნქტებიდან მცხოვრებთა წასვლის, გადასახლების ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის ტერიტორიულად ერთად შეზრდის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ბრძანებულებით ამ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები თავიანთი გადაწყვეტილებებით სააღრიცხვო მონაცემებიდან აშორებენ ასეთ დასახლებულ პუნქტებს, როგორც ფაქტიურად არარსებულს, და ამის შესახებ აცნობებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 128 არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს პასუხისმგებლობა არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს, რომ პირები, რომლებიც დაარღვევენ არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესებს, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწევიან აკრძალულ რეწვას, თუ ეს მოქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, დაჯარიმდებიან 50 მანეთამდე. ჯარიმას დაადებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 129 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი რესპუბლიკური ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 3 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 130 საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებში ბოლო დროს გაუმჯობესდა მშრომელთა მიღება, მათი განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის, განხილვისა და მათზე პასუხების გაცემის მდგომარეობა, რის შედეგადაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა საჩივრების რაოდენობა.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში შექმნილი პერსონალურ პენსიონერთა ჯგუფის წევრები ყოველდღიურად მორიგეობენ მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების მისაღებში და საჭირო დახმარებას უწევენ მთხოვნელებს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში ადგილი აქვს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების ზერელე განხილვისა და კანონით დაგენილი ვადების დარღვევის შემთხვევებს.

1963 წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში შემოსული 2351 განცხადება-საჩივრიდან ვადების დარღვევით პასუხი გაეცა 146-ს, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში — 13.909 განცხადება-საჩივრიდან 249-ს.

მაგალითად ერთ-ერთ საჩივარს, ფეხსაცმლის ბაზის მუშაკების არასწორ მოქმედებაზე, ვაჭრობის სამინისტრომ პასუხი გასცა მხოლოდ 57 დღის შემდეგ.

მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების განხილვისას ჯერ კიდევ ვხვდებით საქმისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებს. ვაჭრობის სამინისტროს 52 დღე დასჭირდა იმისათვის, რომ უარი ეთქვა მოქალაქისათვის პიანინოს შეძენაზე, ხოლო განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა ვაჭრობის სამმართველოს მუშაკების არასწორ მოქმედებას, პასუხი გაეგზავნა 23 დღის შემდეგ და ისიც არასრულყოფილი.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში. მაგალითად, განცხადებაზე ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შესახებ, პასუხი გაეგზავნა ერთი თვის დაგვიანებით.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ზოგიერთი მუშაკი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისა და პასუხის დროულად გაცემის მიმართ.

ზოგჯერ პასუხი არადანიშნულებისამებრ იგზავნება, რაც აჭიანურებს საქმის დამთავრებას. მაგალითად, ერთი განცხადება ნაცვლად ბოლნისის რაიონისა, გაიგზავნა მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში, რის გამოც განმცხადებლისათვის პასუხის გაცემას დასჭირდა 3 თვე და 6 დღე.

ხშირია შემთხვევა, როცა მშრომელები დროულად ვერ იღებენ ამომწურავ პასუხს ან მათი განცხადება და საჩივარი რჩება რეაგირების გარეშე, რის გამოც ისინი იძულებული არიან განმეორებით მიმართონ სამინისტროს ან ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს და გაზეთების რედაქციებს.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში 1963 წელს შემოსული 13.909 განცხადება-საჩივრიდან 2,8 პროცენტი განმეორებითაა დაწერილი, ხოლო 21,3 პროცენტი გადმოგზავნილია ზემდგომი ორგანოებიდან. ამ განცხადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა-საჩივრების ნაწილზეც პასუხი დაგვიანებითაა გაცემული. მაგალითად, სკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ განცხადებაზე, რომელიც ეხება დანიშნული პენსიის გადამოწმების საკითხს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ პასუხი 3 თვის შემდეგ მისცა, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მიღებულ განცხადებაზე ჭრა-კერვის კურსებზე მოწყობის შესახებ — 41 დღის შემდეგ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდან და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან გამოგზავნილ განცხადებაზე სამუშაოზე აღდგენის შესახებ ვაჭრობის სამინისტრომ პასუხი გასცა 51 დღის შემდეგ.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ სამინისტროები კოლეგიის სხდომებზე პერიოდულად არ იხილავენ და ანალიზს არ უკეთებენ აპარატში შემოსულ განცხადებებს, ჯერ კიდევ ნაკლებად ჰყავთ ჩაბმული აქტივი განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-შემოწმებაში და, რაც მთავარია, არ არის დაწესებული სათანადო მომთხოვნელობა და კონტროლი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს (ამხ. ამხ. ვ. თოხაძე, მ. თოფურიძე) გადამჭრელი ზომები მიიღონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის, განხილვისა და რეაგირების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გააძლიერონ კონტროლი მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა-გადაწყვეტაზე, როგორც თვით სამინისტროში, ისე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში;

ბ) დროულად მოსთხოვონ პასუხი იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც გადაეცათ შესამოწმებლად მშრომელთა განცხადებები და საჩივრები;

გ) მშრომელთა ყველა წერილზე, განცხადებასა და საჩივარზე გასცენ დროული და ამომწურავი პასუხი, დააწესონ შესრულების ვადა, მკაცრად დასაჯონ თანამდებობის პირები, რომლებიც დაუშვებენ ფორმალურ, ბიუროკრატიულ და უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი;

დ) აქტივის ფართო გამოყენებით ღრმად შეისწავლონ განცხადებები და საჩივრები, დროულად გამოავლინონ მათი გამომწვევი მიზეზები და მიიღონ ზომები მათ სალიკვიდაციოდ;

ე) პერიოდულად განიხილონ სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობის საკითხები და გაატარონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 131 ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. მაქაცარიას და ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. ქანთარიას მოხსენებები, აღნიშნავს, რომ ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უკანასკნელ პერიოდში გააუმჯობესეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის ჩაბმის საქმე. ამ მიზნით ქალაქსა და რაიონში შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის 87 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმი, 110 ამხანაგური სასამართლო, 33 ქუჩის კომიტეტი და სხვა საზოგადოებრივი და თვითმოქმედი ორგანიზაციები.

აღმასკომების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ეს ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ატარებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, დანაშაულებათა აღმოფხვრისათვის. აქტივისტების დახმარებით რაიონის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გასულ წელს გახსნეს სისხლის სამართლის რამდენიმე დანაშაული, ამხილეს და დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის ბევრი დამრღვევი; მათგან საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს აღსაზრდელად გადაეცა ათობით მოქალაქე; პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ადგილობრივი ორგანოები გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ საქმეში საზოგადოებრიობის აზრის შექმნასა და ამაღლებას.

მიუხედავად ამისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არასაკმარისად მიაჩნია ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა.

ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში ამხანაგური სასამართოები არსებობენ ფორმალურად. წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი შეუფასებლობას იჩენს ამხანაგური სასამართლოსადმი და, ნაცვლად იმისა, რომ წესრიგის და კანონიერების დარღვევის ფაქტები პირველ რიგში მათ გადასცენ განსახილველად, კმაყოფილდებიან დამნაშავეთა მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის დადებით.

მაგალითად, საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების ამხანაგურ სასამართლოს გასულ წელს არც ერთი საქმე არ განუხილავს და ეს მაშინ, როდესაც აქ სხვადასხვა დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 150 კაცს. სუსტად მუშაობენ ამხანაგური სასამართლოები აგრეთვე ზუგდიდის ღვინისა და საკონსერვო ქარხნებში, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოსა და ჭითაწყარის კოლმეურნეობაში, ხობის სამელიორაციო სადგურში, ხობის ჩაის ფაბრიკაში და სხვა ორგანიზაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო რაზმების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან მძლავრ საზოგადოებრივ ძალად ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებასთან და დანაშაულთან ბრძოლაში. სახალხო რაზმელებს ნაკლებად შეაქვთ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებები იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. რაზმების მეთაურები არ გამოდიან მოსახლეობის წინაშე ანგარიშით ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამასთან, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სახალხო რაზმელები არ ცხადდებიან მორიგეობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ თავიანთ მუშაობაში ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების და ადმინისტრაციულ კომისიებს. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობას ბავშვთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის აღსაკვეთავად. ნაწილობრივ ამის შედეგიცაა, რომ ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში ბევრია არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და ბავშვთა და მოზარდთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. მილიციის რაიონულ განყოფილებასთან არსებულმა ბავშვთა ოთახმა გასულ წელს აღრიცხა უმეთვალყურეობის 85 შემთხვევა.

ადმინისტრაციული კომისიები ხშირად არღვევენ ვადებს, რომლებიც დებულებითაა გათვალისწინებული საქმის განხილვისათვის. ზოგ შემთხვევაში შეცდომებია დაშვებული ჯარიმების განსაზღვრისას. აღნიშნული კომისიების მუშაობის ძირითადი ნაკლია ის, რომ ისინი იშვიათად იყენებენ აღმზრდელობით მეთოდებს — არ აწყობენ გამსვლელ სხდომებს, მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დარღვევის შესახებ არ აცნობებენ იმ ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიები. დღიდან არჩევისა მათ არ შეუსრულებიათ და აღმასკომის სხდომებზე ან საბჭოს სესიაზე არ შეუტანიათ არც ერთი საკითხი.

რაიონული, საქალაქო და განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების სესიებსა და მათი აღმასკომების სხდომებზე იშვიათად იხილავენ წესრიგის დაცვასა და დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობასთან, საზოგადოებრივი და თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სათანადო ანალიზს არ უკეთებენ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და არ ატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას მათ აღმოსაფხვრელად. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პარაზიტული ელემენტების გამოვლინებას და მათ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმას. ამასთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლებულ პირთა სამუშაოზე მოსაწყობად და მათთვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანოები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ყოველთვის არ იყენებენ მშრომელთა ფართო მასებს და ყველა აუცილებელ საშუალებებს. ამასთან არასაკმარისია ამ ორგანოების კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების შედეგად ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში ჯერ კიდევ არის დანაშაულებანი და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ფართოდ ჩააბან საზოგადოებრივი და მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციები საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებასა და დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ამ ორგანიზაციების საქმიან წამოწყებებსა და ინიციატივას;

ბ) პერიოდულად განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და ამ საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობასთან, საზოგადოებრივი და მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციების — სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

გ) რეგულარულად ჩაატარონ საინსტრუქტაჟო თათბირები საზოგადოებრივი და მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის და პერიოდულად განაზოგადონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

დ) კიდევ უფრო გააუმჯობესონ ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, შემდგომში ხშირად შეამოწმონ მათი საქმიანობა და აშხილონ მათი ნორმალური მუშაობის ხელშემშლელი მიზეზები, ხელი შეუწყონ ამხანაგური სასამართლოების აღმზრდელობითი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

ქმედითი დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს, გახადონ მათი მოქმედება უფრო გაბედული და აქტიური ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების აღსაკვეთად;

ე) აღმოფხვრან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, სათანადო დახმარება გაუწიონ მათ იმ ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის, მათ მიერ მართლწესრიგის დარღვევის და დანაშაულებათა ჩადენის თავიდან აცილებას, ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვას;

ვ) გააუმჯობესონ ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ იგი ემსახურებოდეს ადმინისტრაციულ დარღვევათა თავიდან აცილებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებითა და საზოგადოებრივი ზემოქმედებით მოქალაქეთა აღზრდის საქმეს, განამტკიცონ ამ კომისიების კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ზ) აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები სოციალისტური კანონიერების დაცვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ლოთობის მავნე შედეგების და სხვა აქტუალურ თემებზე; მოაწყონ თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში საბჭოების დეპუტატები, პროკურატურის, მილიციის, სასამართლოს მუშაკები, აქტივი;

თ) მეტი ყურადღება დაუთმინ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა სამუშაოზე მოწყობას და მათთვის საჭირო მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

2. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურამ (ამხ. პ. ბერძენიშვილი), საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ (ამხ. ვ. მაისურაძე) და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ო. ქავთარაძე) მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა დანაშაულობასთან ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში მშრომელთა ფართო მასებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმისათვის; განამტკიცონ თავიანთი ადგილობრივი ორგანოების კავშირი ამხანაგურ სასამართლოებთან, სახალხო რაზმებთან, ქუჩისა და სახლების კომიტეტებთან, საბჭოების აღმასკომებთან არსებულ კომისიებთან და სხვა საზოგადოებრივ და მშრომელთა თვითმოქმედ ორგანიზაციებთან, ამასთან ქმედითი დახმარება გაუწიონ ამ ორგანიზაციებს მათ მუშაობაში. სისტემატური გახადონ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მუშაობა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების გამოვლინებას, მიიღონ ზომები მათ აღსაკვეთად.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 თებერვალი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 132 ამხ. შ. გ. მწითურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დუშეთის მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შალვა გაბრიელის ძე მწითური დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 133 ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჟურნალ „საქართველოს ქალის" პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 3 მარტი.

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის"** ორდენებითა და **„დედობის მედლის"** მედლებით 601 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისიდან | 22 |
| ქ. ზუგდიდიდან | 4 |
| ამბროლაურის რაიონიდან | 5 |
| ახალქალაქის „ | 55 |
| ახალციხის „ | 26 |
| ბოლნისის „ | 252 |
| გარდაბნის „ | 40 |
| გეგეჭკორის „ | 21 |
| ზუგდიდის „ | 13 |
| ზესტაფონის „ | 16 |
| თეთრიწყაროს „ | 44 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თიანეთის | „ . . . . . . . . | 4 |
| ლანჩხუთის | „ . . . . . . . . | 6 |
| მაიკოვსკის | „ . . . . . . . . | 17 |
| მესტიის | „ . . . . . . . . | 17 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . | 20 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . | 40 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია სოვეტოვ დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია სსსრ"
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5.

## დაიბეჭდა და იყიდება

# სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის

(1963 წლის 16—19 დეკემბერი)

# სტენოგრაფიული ანგარიში

(რუსულ ენაზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დამატებაში დაბეჭდილია: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964—1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, კანონი სსრ კავშირის 1964—1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პალატების დადგენილებანი.

**წიგნის ფასი — 1 მან. 01 კაპ.**

სტენოგრაფიული ანგარიში იყიდება

წიგნის მაღაზიებში.